

„შაბათის სკოლა“ ძირითადად მე-9-12 კლასელებს არის გამიზნული


მისი მთავარი ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები, დოქტორანტები და მაგისტრანტები წაუკითხავენ მოსწავლეებს შემეცნებითი ხასიათის ლექციებს გეოლოგიის სხვადასხვა სფეროდან, დაწყებული სამკურნალო და მინერალური წყლებიდან, დამთავრებული კეთილშობილი ლითონებით, ძვირფასი და სანახევლო ქვებით, აგრეთვე მიწის წიაღში ნავთობისა და საწვავი აირის წარმოქმნის და დაგროვების საიდუმლოებით.

ლექციების კურსი დაეხმარება მომავალ აბიტურიენტებს შეიმეცნონ დედამიწის, როგორც ციური სხეულის ადგილი სამყაროში, გააცნობიერონ გეოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესაძლებლობები, მისი შესწავლის მნიშვნელობა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, მკვეთრად გაიფართოონ წარმოდგენები დედამიწის წიაღში და მის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების ვულკანიზმის, მიწისძვრების, მთების და მადნების წარმოშობის და მრავალი სხვა მოვლენის შესახებ.

შაბათის სკოლის პროგრამა, გარდა სადექიო კურსისა, ითვალისწინებს საინტერესო ექსკურსიებს ბუნების საოცრებათა გაცნობის მიზნით.

ლექციების განრიგი:

ყოველი თვის მეორე და მეოთხე შაბათს, 11⁰⁰ სთ.



სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მუზეუმებს ხშირად სტუმრობენ საჯარო სკოლის მოსწავლეები

მოსწავლეები ათვალიერებენ ფაკულტეტზე არსებულ სამუზეუმო კოლექციებს, რაც მათ საშუალებას აძლევს გასცდნენ სასწავლო სახელმძღვანელოების ჩარჩოებს და გაიმდიდრონ სასკოლო პროგრამის საბაზისო ცოდნა.



სკოლის მოსწავლეები სტუმრად მუზეუმში

კონფერენცია

მოსწავლეებისთვის სკოლის მასწავლებლებისა და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორების ხელმძღვანელობით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ან შესაბამის სკოლაში ჩატარდება მოსწავლეთა

სამეცნიერო კონფერენცია გეოლოგიის საინტერესო საკითხების გარშემო.

მუზეუმი

სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე გეოლოგიური პროფილის სამი მუზეუმი, რომლებიც თავისი დანიშნულებით და იქ მიმდინარე სამუშაოებით, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებია. ისინი ფართო პროპაგანდას უწევენ არა მარტო მინერალების, ქანების, მადნების და პალეონტოლოგიური ექსპონატების ბურებებს და მათ გაგრძელებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, არამედ შეუზღუდავად აწვდის სრულფასოვან ინფორმაციას კოლექციონერებსა და დაინტერესებულ პირებს.



მოსწავლეებს მუზეუმებში შეუძლიათ პალეონტოლოგიური ნიმუშების და მულიაჟის, მინერალების, ქანებისა და მადნების დათვალიერება, აღწერა და გამოყენება საკონფერენციო მოხსენებისათვის.





სტუდენტური პრაქტიკა

გარდა პროფესიული ჩვევების გამომუშავებისა, პრაქტიკის დროს სტუდენტები იღებენ ექსტრემალურ სიტუაციებში მოქმედების გამოცდილებას, საშუალება აქვთ გაეცნონ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებასა და ისტორიულ ძეგლებს.

აგროვებენ საინტერესო მინერალების, ქანების, მადნების და ნამარხი ორგანიზმების ნიმუშებს უნივერსიტეტის მუზეუმების და საკუთარი კოლექციების გასამდიდრებლად.

ადგენენ გეოლოგიური მარშრუტების გზამკვლევებს, აზუსტებენ არსებულ მეგზურებს და მოპოვებულ ინფორმაციას ინტერნეტის ქსელში ათავსებენ.

მოსწავლეებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ პრაქტიკაში.



სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები

სასწავლო საველე-გეოლოგიურ ექსპედიციებში შეგროვილი ქვიური მასალის ლაბორატორიებში ხელსაწყო-მოწყობილობებით დამუშავების შედეგად მიღებულ შედეგებს სტუდენტები თემების სახით წარმოადგენენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე.

სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებში.

ექსკურსიები:

1. თბილისი და მისი შემოგარენი;
2. საქართველოს სამხედრო გზა;
3. მადნეულის საბადო, დმანისის ნაქალაქარი (ზეზვა და მზია დმანისში);
4. ბორჯომის ხეობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

საქართველო, თბილისი 0175, კოსტავას ქ.№77, სტუ III კორპუსი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
ტელ: 2 38-25-88 , 2 36-52-77

ელ.ფოსტა: nodar_poporadze@yahoo.com

577 42 83 47

olikoseskuria@rambler.ru

593 27 24 65

www: gtu.ge/Faculties/geologia/index_ge.html



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA
კოსტავას ქ. 77, სტუ-ს III კორპუსი, ოთახი №343

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი
Department of Applied Geology

ს ი ა ხ ლ ე ე ბ ი
მოსწავლეთათვის

„შაბათის სკოლა“
„Shabatis skola“